# წლიური ანგარიში

# 2020

# სარჩევი


შესავალი 4

საერთო კრება 4

ქარტიის პრიზი 6

საბჭოს საქმიანობა 8

ორგანიზაციული განვითარება 10

მედიის პროფესიონალიზმის გაუმჯობესება 11

ტრენინგები 11

სახელმძღვანელოები 12

კონსულტაციები 14

მედიარეკეხი 14

კვლევები 15

წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი 15

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგი 15

„რა მოხდა აჭარის მაუწყებელში?“ 17

ადვოკატირება 17

კონფერენცია 17

აქციები 18

გამოიძიე 18

სოლიდარობა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს 18

ნუ გვაბრმავებ 19

კოალიციური მუშაობა 21

ადვოკატირება სხვადასხვა საკითხზე 21

ქარტიის მიერ გაწეული სერვისები 21

დანართი 1 22

# შესავალი

2020 წელი განსხვავებული იყო. კოვიდპან-დემიისგან გამოწვეული სირთულეები ჩვენი საქმიანობის ნაწილი გახდა. მოგვიწია აქტივობები გადაგვეტანა ვირტუალურ სივრცეში და გავმკლავებოდით დისტანციური მუშაობის სპეციფიკას. ცვლილებამ არაერთი პრობლემა შეუქმნა მედიასაშუალებებს როგორც ფინანსების, ისე ადმინისტრირების კუთხით. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სწორედ კორონავირუსთან დაკავშირებითაც, არ ხდებოდა მედიის წარმომადგენლებისთვის დროულად და სრულად ინფორმაციის მიწოდება.

2020 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდგომ გამართულ საპროტესტო აქციებზე, გამოვლინდა ჟურნალისტებზე ძალადობის არაერთი შემთხვევა. მუხედავად ქარტიის არაერთი მოწოდებისა, არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან მსგავს ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება. გახშირდა პოლიტიკოსებისა თუ თანამდებობის პირთა მხრიდან ჟურნალისტთა ლანძღვისა თუ შეურაცხყოფის ფაქტები, რასაც ასევე არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

წელსაც აქტუალური იყო აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენები, ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლები კვლავ სასამართლოში აწარმოებენ დავას მაუწყებელთან.
2020 წლის განმავლობაშიც კვლავ აქტიურად განიხილებოდა თვითრეგულირების განსახილველი საკითხების რეგულირებაში გადატანის საკითხი. ფაქტია, რომ თუ არ გვექნება ძლიერი თვითრეგულირება, მაშინ გაჩნდება სივრცე სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებისთვის. სწორედ ამიტომ ქარტიის უპირველესი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტ ჟურნალისტს აუხსნას მედიის თვითრეგულირების მნიშვნელობა, რათა ერთმანეთზე ხარვეზების მითითებით განვითარდეს პროფესიული სტანდარტები, გაძლიერდეს პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, გაიზარდოს აუდიტორიის ნდობა. ქარტიის მიზანი კი ასევეა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წვლილი შეიტანონ მედიის პროფესიონალიზმის განვითარებაში ამ მექანიზმის გამოყენებით.

ქარტია კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე რჩება, შეინარჩუნოს მედიის თვითრეგულირება და არ დატოვოს სივრცე სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებისთვის, დაიცვას ჟურნალისტთა უფლებები და განავითაროს და გააძლიეროს პროფესიული სტანდარტები.

# საერთო კრება

2019 წლის 21 დეკემბერს გაიმართა ქარტიის მე-11 ყოველწლიური საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა 97 წევრი ჟურნალისტი. ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე ნანა ბიგანიშვილმა, აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მგელაძემ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ალეკო ცქიტიშვილმა საერთო კრებას 2019 წელს განხორციელებულ საქმიანობაზე ანგარიშები წარუდგინა.

საერთო კრებაზე ქარტიის ხელმომწერმა ჟურნალისტებმა ქარტიის საბჭოს სამი ახალი წევრი და ქარტიის სარევიზიო კომისიის განახლებული შემადგენლობა აირჩიეს.

ქარტიის საბჭო შედგება 9 წევრისგან, რომელთაგან 3 თბილისს, ხოლო 6 რეგიონს წარმოადგენს. ქარტიის საერთო კრება ყოველწლიურად ირჩევს საბჭოს სამ ახალ წევრს.

## 2019 წლის კრებაზე საბჭოს ახალი წევრები გახდნენ:

თბილისის კვოტით ზვიად ქორიძე, მედიაექსპერტი, სხვადასხვა მედიასაშუალების კონსულტანტი; რეგიონული კვოტით - ნინა ხელაძე, TOK TV და ნათია ზოიძე, ტელეკომპანია „პირველი“. ახალმა წევრებმა ჩაანაცვლეს საბჭოს ის წევრები, რომლებსაც ვადა ამოეწურათ. მათ შორისაა გიორგი მგელაძე თბილისიდან და ლაურა გოგოლაძე და გიორგი სულაძე რეგიონებიდან.

საბჭოს განახლებულმა შემადგენლობამ თავმჯდომარედ ერთი წლის ვადით კვლავ ნანა ბიგანიშვილი აირჩია.

## საბჭოს ახალი შემადგენლობა შემდეგია:

1. ნანა ბიგანიშვილი (თავმჯდომარე)
2. ლიკა ზაკაშვილი
3. ზვიად ქორიძე
4. გელა მთივლიშვილი
5. ირმა ზოიძე
6. ნინა ხელაძე
7. მაია მერკვილაძე
8. კამილა მამედოვა
9. ნათია ზოიძე

ქარტიის წევრებმა ასევე აირჩიეს სარევიზიო კომისიის სამი წევრი: მარიკა დუდუნია, ნინო კაკულია და გუბაზ მეგრელიძე.

# ქარტიის პრიზი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ „ქარტიის პრიზი 2019-ის“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე ნანა ბიგანიშვილი, ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მგელაძე, მედიამკვლევარი ეკა ბასილაია, IREX M-TAG პროგრამის წარმომადგენლები - თამარ რუხაძე და რუსუდან ცხომელიძე.

ხუთ ნომინაციაში შემოსული 81 განაცხადიდან ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია შემდეგი ნამუშევრები:

- ► ვიდეორეპორტაჟი - ბესო გვენეტაძე, „თბილისის ტრანსპორტის არასრული ანთოლოგია“ (ინდიგო)
- ► მულტიმედია პროექტი - ლაშა ცერცვაძე, „გესმის კედელი - სალომე“ (ინდიგო)
- ► სტატია ან ნარკვევი ბეჭდურ ან ონლაინ მედიაში - ლუკა პერტაია, „სახელმწიფომ ვერ დაინახა მოქალაქე, რომელიც სიღარიბეში კვდებოდა — რატომ?“ (ნეტგაზეთი)
- ► ჟურნალისტური გამოძიება - ნინო რამიშვილი, „უფასო ფული მილიონებისათვის“ (სტუდია მონიტორი)
- ► ბავშვთა საკითხები - ეკა ქევანიშვილი, „რატომ ვცემთ შვილებს აღზრდის სახელით?“ (რადიო თავისუფლება)

ოთხ კატეგორიაში კონკურსი გამოცხადდა IREX-ის მხარდაჭერით. ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქებისთვის პრიზი კი დაწესებული იყო გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ.

# საბჭოს საქმიანობა

2020 წელს ქარტიის საბჭომ ყველაზე მეტი საჩივარი განიხილა. სხდომების უმრავლესობა პანდემიიდან გამომდინარე ტარდებოდა ონლაინ.




საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტჯერ მოქალაქეებმა მომართეს ქარტიას.




The Georgian Charter of Jorunalistic Ethics
Mariam Gogosashvili
Lika Zakashvili
Irma Zoidze
Kamilla Mamedova
zviad koridze
Nana Biganishvili
Malkhaz Rekhviashvili
Nina Kheladze
mtivlishvili@g...

ქარტიის საბჭომ განსახილველ მასალებში ტრადიცულად ყველაზე მეტჯერ ქარტიის პირველი პრინციპის (სიზუსტის) დარღვევა დაადგინა.




# ორგანიზაციული განვითარება

2020 წლის მარტიდან ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი გახდა მარიამ გოგოსაშვილი. მან ამ პოზიციაზე ჩაანაცვლა გიორგი მგელაძე, რომელიც აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას 2019 წლის ნოემბრიდან იკავებდა.

წელს ქარტიამ ორგანიზაციის მდგრადობის შესანარჩუნებლად მიზნად დაისახა დონორთა წრის გაფართოება. წლის განმავლობაში ორგანიზაციამ აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტისა და გაეროს COBERM-ის პროგრამიდან მიიღო დაფინანსება.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ქარტიისთვის მომზადდა დოკუმენტი, რომელშიც გაანალიზებულია სხვა ქვეყნების პრესის საბჭოების საქმიანობა და მუშაობის სპეციფიკა. ევროპის საბჭოს ექპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე ეტაპობრივად დაიწყება დისკუსიები ქარტიის წევრებთან.

ევროპის საბჭოსვე მხარდაჭერით, ქარტიისთვის მომზადდა კომუნიკაციის სტრატეგია, რომლის განხორციელებასაც ორგანიზაცია 2021 წელს დაიწყებს.

# მედიის პროფესიონალიზმის გაუმჯობესება

## ტრენინგები

„ტროლები, ბოტები და ყალბი ამბები – როგორ ავიცილოთ დეზინფორმაციის ტრიალება."

მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ტროლები, ბოტები და არაავთენტური პროფილები სოციალურ ქსელებში. ასევე, რა გამოწვევების წინაშე აყენებს სოციალური ქსელი ეთიკურ და პასუხისმგებლიან მედიას და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არ გავხდეთ ყალბი გვერდის ან პროფილის მანიპულაციის მსხვერპლი სტატიის მომზადებისას.

ტრენინგს უძღვებოდნენ თამარ კინწურაშვილი - მედიის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, სოფო გელავა - ამავე ორგანიზაციის მკვლევარი და მედიაწიგნიერების პროექტის კოორდინატორი და ლიკა ზაკაშვილი - ონლაინ გამოცემა „პუბლიკას" მთავარი რედაქტორი.

ტრენინგში 18 ჟურნალისტი მონაწილეობდა.

# სახელმძღვანელოები

## ეთიკა, უსაფრთხოება და ფსიქიკური ჯანმრთელობა კორონავირუსული პანდემიის (COVID-19) გაშუქებისას - სახელმძღვანელო წესები მედიისათვის

კორონავირუსის გავრცელებამ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა მედია როგორც პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით, ასევე დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის გამოც. მსოფლიოს მასშტაბით მომატებული დეზინ-ფორმაციის ნაკადი მედიისთვის ასევე



ქმნის ახალ გამოწვევას, ინფორმაციის გადასამოწმებლად განსაკუთრებული ძალისხმევა გაიღოს. მედიასაშუალებების წარმომადგენლებს უწევთ ფიზიკური უსაფრთხოების წესების განსაკუთრებული დაცვა და სტრესის მართვა.

7 თავისგან შემდგარი სახელმძღვანელო, რომელიც ქარტიამ მოამზადა, სწორედ ამ გამოწვევებს ეხება და დეტალურად აღწერს როგორ არის შესაძლებელი მათთან გამკლავება.
მომზადდა სახელმძღვანელო წესების ეთიკური დილემების თავის აუდიო ვერსიაც, ასევე 10 საინფორმაციო ქარდი და 4 ვიდეო შემდეგ საკითხებზე:

1. დისტანციური მუშაობისას ციფრული უსაფრთხოების დაცვა
2. რეკომენდაციები ჟურნალისტების ფიზიკური უსაფრთხოების შესახებ
3. როგორ ავიცილოთ სტრესი COVID-19-ის გაშუქებისას
4. რეკომენდაიცები სტრესის თავიდან ასაცილებლად.

მულტიმედია მასალა გავრცელდა „მედიაჩეკერის“ ოფიციალურ ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

## რეკომენდაციები კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეოგადაღებასა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში კორონავირუსით დაავადებულთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, კენჭისყრის დღეს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მნიშვნელოვანი იყო დაცული ყოფილიყო მედიაორგანიზაციებში დასაქმებული პირების უსაფრთხოება.

ქარტიამ მოამზადა რეკომენდაციები კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ფოტო/ვიდეოგადაღებასა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე, ისევე როგორც რეკომენდაციები უსაფრთხოების წესების დაცვაზე სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ხმის მიცემის პროცესში.

სახელმძღვანელო წესები მომზადებულია IREX-ის M-TAG პროგრამის მხარდაჭერით.

## კონსულტაციები

საანგარიშო პერიოდში ქარტიამ გასცა 57 კონსულტაცია. იყო შემთხვევები, როდესაც ქარტიის რეკომენდაციით მყისიერად შესწორდა მასალები, რომლებშიც დარღვეული იყო ეთიკური სტანდარტები.

# მედიაჩეკერი

„მედიაჩეკერი“ კვლავ რჩება ქარტიის მნიშვნელოვან პროექტად და მედიაკრტიკის პლატფორმად საქართველოში. NED-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში, 2020 წელსაც ჟურნალისტები ატარებდნენ მედიამონიტორინგს ქართულ ცენტრალურ არხებსა და ონლაინ მედიაზე. აკვირდებოდნენ მათ მიერ მომზადებული კონტენტი რამდენად იყო შესაბამისობაში ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპებთან, მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მედიაჩეკერი აქტიურად მუშაობდა კოვიდ-19-ის საკითხზე და მედიას მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას პანდემიის გამოწვევები როგორ აისახებოდა მედიაზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტთან ერთად განახორციელებული პროექტის ფარგლებში მოხდა კორონავირუსთან დაკავშირებული მითების გამოვლენა და გაქარწყლება, დეზინფორმაციის ფაქტჩექინგი, მედიაწიგნიერების უნარების გაუმჯობესება აუდიტორიისთვის, რაც გამოიხატა მულტიმედია პროდუქციის მომზადებაში, რომელიც საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას როგორ განესხვავებინა ერთმანეთისგან ყალბი და ნამდვილი ამბავი და არ გამხდარიყო დეზინფორმაციისა თუ მანიპულაციის მსხვერპლი. მულტიმედია პროდუქცია მზადდებოდა 6 ენაზე (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, აფხაზური და ოსური).

დღეს „მედიაჩეკერი“ განაგრძობს არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად მედიის დახმარებას და IREX-ის M-TAG პრგრამის ფარგლებში ამზადებს გადაცემებს, სადაც მედიის წარმომადგენლები საუბრობენ და უზიარებენ გამოცდილებას თავიანთ კოლეგებს.

# კვლევები

მედიაზე დაკვირვება და კვლევების მომზადება ქარტიამ 2020 წელსაც განაგრძო.

## წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი

მაუწყებლების მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებას ქარტია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში აკვირდებოდა. მედიამონიტორინგი მიმდინარეობდა 12 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებსა და საინფორმაციო გამოშვებებზე. ასევე, წინა საარჩევნო წლებისგან განსხვავებით, წელს ქარტია აკვირდებოდა 13 ონლაინ გამოცემას და სოციალურ ქსელს.

მონიტორინგის ფარგლებში გამოქვეყნდა 2 შუალედური და ერთი ფინალური ანგარიში, სადაც აისახა არჩევნების გაშუქების ძირითადი ტენდენციები.




## აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში „ღია საზოგადოების ფონდის" მხარდაჭერით განხორციელდა აჭარის ტელევიზიის მონიტორინგი, რომლის მიზანიც იყო დადგენილიყო შეიცვალა თუ არა მაუწყებელში სარედაქციო პოლიტიკა ახალი დირექტორის - გიორგი კოხრეიძის არჩევის შემდეგ.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის
მონიტორინგის ანგარიში
25.12.2019-04.06.2020

რა მოხდა
აჭარის მაუწყებელში
10.04.2019-10.04.2020

## „რა მოხდა აჭარის მაუწყებელში?“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, მომზადდა ანგარიში „რა მოხდა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელში?“ დოკუმენტში აღწერილია საქართველოში აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში დირექტორის იმპიჩმენტიდან ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები და მომზადებულია სამართლებრივი შეფასება.

# ადვოკატირება

მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად ქარტია ადვოკატირების პროცესში აქტიურად მონაწილეობს. ამისათვის კი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. მათ შორისაა საჯარო განცხადებები, მედიით პოზიციის დაფიქსირება, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მუშაობა, სხვადასხვა ტიპის ღია და დახურულ შეხვედრებში, კონფერენციებში მონაწილეობა.

2020 წელს ქარტიამ 53 საჯარო განცხადება გაავრცელა როგორც დამოუკიდებლად, ისე პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. განცხადებები ეხებოდა საქართველოში მედიაგარემოში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე ამბებს, ტელეკომპანიებისთვის საინკასო დავალების წარდგენას, ტელეკომპანიის მფლობელების სისხლის სამართლის საქმეს, დაზარალებულიჟურნალისტებისსაქმიანობის გამოძიებასა და პოლიტიკოსების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ გამოთქმული მოსაზრებების შეფასებებს.

# კონფერენცია

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მცირე გრანტების პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია თემაზე - მაუწყებლების თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტურობის გაზრდა. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვ ნული კომისიის, ცენტრალური და რეგიონული მაუწყებლების და მედიაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციის დროს გაანალიზდა მაუწყებლების თვითრეგულირების ხარვეზები და განიხილეს როგორ შეიძლება ეს მექანიზმები უფრო ეფექტიანი გახდეს.

# აქტიები

## გამოძიება

საერთო კრების დღეს - 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის წინ ქარტიამ მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით. ქარტიის როგორც წევრმა, ისე არაწევრმა ჟურნალისტებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ერთად გააპროტესტეს ბოლო თვეების განმავლობაში მედიაში ზეწოლის, ძალადობის, ჩარევის ფაქტები. საპროტესტო მიტინგის დღეს, უკვე 6 თვე იყო გასული 20 ივნისის მოვლენებიდან, როდესაც მედიის ათობით წარმომადგენელი დაშავდა. საპროტესტო დემონსტრაციის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დროულად გამოძიება, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა.

## სოლიდარობა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს

„თავისუფლება აჭარის მაუწყებელს“, „სარედაქციო დამოუკიდებლობა საფრთხეშია“, „ხელები შორს აჭარის ტელევიზიისგან“, „მოგვეცით მუშაობის საშუალება“, „ნუ ჩაერევი“, - ამ და მსგავსი გზავნილებით, 17 თებერვალს, თბილისში, პარლამენტის წინ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტების მხარდასაჭერად მედიის, არასამთავრობო სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და აქტივისტები შეიკრიბნენ.

აქციის მონაწილეებმა აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები გააპროტესტეს და დედაქალაქიდან სოლიდარობა და თანადგომა გამოუცხადეს აჭარის ტელევიზიის იმ თანამშრომლებს, რომლებიც მაუწყებლის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შესანარჩუნებლად იბრძვიან. ქარტია ასევე იყო აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებისთვის სოლიდარობის გამომხატველი აქციის ერთ-ერთი

ორგანიზატორი, რომელიც პირველად ჩატარდა მაუწყებლებში, შემდეგ ონლაინ მედიაში და ბოლოს სამოქალაქო სექტორში.




## ნუ გვაბრმავებ

8 ნოემბრის ღამით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მიმდინარე საპროტესტო აქციის გაშუქებისას, დაშავდნენ გადამღები ჯგუფები და დაზიანდა მედიის ტექნიკა. მედიის წარმომადგენლები ამბობდენ, რომ მათ წყლის ჭავლს, რომლითაც პერიოდულად აქციის დაშლას ცდილობდნენ, დამიზნებით უშენდნენ. ჟურნალისტები და ოპერატორები სწორედ წყლის ჭავლმა დააზიანა. მათი ნაწილი, წყლის წნევის გამო, გადაღების მანქანებიდან გადმოვარდა.

ნუ გვაბრმავებ - ამ სლოგანით საქართველოს

ნუ გვაბრმავებ !

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტრო
FOR VISITORS

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამ ფაქტების გასაპროტესტებლად აქცია გამართა. აქციის მიმდინარეობისას კი გაავრცელა მიმართვა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით.

## კოალიციური მუშაობა

ქარტია აქტიურად მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციებთან კოალიციაში „მედიის ადვოკატირებისთვის". საერთო განცხადებების გარდა, ორგანიზაცია მონაწილეობდა კოალიციის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში.

## ადვოკატირება სხვადასხვა საკითხზე

ქარტიის დირექტორი მონაწილეობდა საპარლამენტო განხილვებში, სადაც მიმდინარეობდა „მაუწყებლობის შესახებ" და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა. აღნიშნული კანონპროექტები შესაძლებლობას აძლევდა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მაუწყებლებში დაენიშნა სპეციალური მმართველი. აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ მიღებული კანონი მაქსიმალურად ამცირებს მაუწყებლის მართვაში კომისიის ჩარევის რისკებს.

ქარტია ასევე აქტიურად იყო ჩართული ბავშვთა საკითხების გაშუქებაზე მიღებული ახალი რეგულაციების ამოქმედების პროცესში გამოკვეთილ პრობლემებზე მსჯელობებში. ის ცდილობდა თავიდან აერიდებინა ონლაინ მედიაზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გავლენა.

ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი იყო აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩევლის, ისევე როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების შესარჩევი კომისიის წევრი.

## ქარტიის მიერ გაწეული სერვისები

ქარტიამ 2019 წელს გაიმარჯვა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და შექმნა ონლაინ კურსი „ჟურნალისტიკა სოციალური ცვლილებებისთვის". აღნიშნული კურსი 2020 წელს სამჯერ განმეორდა.

კურსის მიზანია ჟურნალისტებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა განივითარონ ინფორმაციის მოძიების და გავრცელების უნარ-ჩვევები. შეძლონ სხვადასხვა პლატფორმების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება, ამასთან მოახერხონ ინფორმაციის გადამოწმება, განივითარონ კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას მისცემს მათ შეამჩნიონ პრობლემები, ახალი ამბები. შეძლონ მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამასთან, ჰქონდეთ ის უნარები, რაც მათ დაიცავს არ გახდნენ დეზინფორმაციის მსხვერპლები. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა შეძლონ მიმდინარე მოვლენების გააზრება და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების და სტიგმების შემცირების ხელშეწყობა.

# ᲯᲐᲜᲐᲰᲛᲘ I

## ᲐᲜᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝᲕᲐ, ᲜᲘᲜᲝ ᲙᲕᲘᲜᲢᲠᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, �გᲘᲒᲐ ᲑᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲪᲐ ᲨᲣᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

**საბჭოს თავმჯდომარე:** ნანა ბიგანიშვილი

**საბჭოს წევრები:** გელა მთივლიშვილი, ზვიად ქორიძე, ლიკა ზაკაშვილი, ნინა ხელაძე, კამილა მამედოვა

**განმცხადებელი:** ანა ცხოვრებოვა, ნინო კვინტრაძე, მარიამ მჭედლიშვილი, გიგა ბენია და ნუცა შუბაშვილი

**მოპასუხე :** ნიკოლოზ ლალიაშვილი

## ᲐᲦᲬᲔᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართეს ანა ცხოვრებოვამ, ნინო კვინტრაძემ, მარიამ მჭედლიშვილმა, გიგა ბენიამ და ნუცა შუბაშვილმა. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ ისინი იყვნენ ტელეკომპანია "მაესტროს" გადაცემა "ბიზნესის სიახლეების" ჟურნალისტები და მათ სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩაერია ტელეკომპანია „იმედის" გენერალური დირექტორის მოადგილე, ნიკოლოზ ლალიაშვილი, რამაც, საბოლოო ჯამში, ჟურნალისტები აიძულა, რომ დაეტოვებინათ ტელეკომპანია. განმცხადებლების აზრით, დაირღვა ქარტიის მე-2 პრინციპი.

საქმის განმხილველ სხდომაში მონაწილეობდნენ განმცხადებლები და მათი წარმომადგენელი. ნიკოლოზ ლალიაშვილს სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია და არც შეპასუხება წარმოუდგენია.

## ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲘᲕᲐᲥᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ქარტიის მე-2 პრინციპი: **"დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ".** განმცხადებელმა მიუთითა სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის შემდეგ ქრონოლოგიაზე:

**24 დეკემბერი, 2019**
პირველი შეხვედრა ნიკოლოზ ლალიაშვილთან შედგა მისივე თხოვნით. შეხვედრაზე დაიბარეს მხოლოდ ბიზნესის რედაქციის აღმასრულებელი პროდუსერი და ამავდროულად, გადაცემის წამყვანი, ანა ცხოვრებოვა. ამ დროისთვის ლალიაშვილი იყო ტელეკომპანია "იმედის" გენერალური დირექტორის მოადგილე (ტელეკომპანია "მაესტრო" "იმედის" ჰოლდინგში შედიოდა). მან გააკრიტიკა ცალკეული სიუჟეტები, რომლებიც, მისივე თქმით, "კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ". ამ შეხვედრაზე მან პრაქტიკულად გასცა დირექტივა, თუ როგორი უნდა გამხდარიყო გადაცემა და ვისი ინტერესების სასარგებლოდ ემუშავა მთლიანად რედაქციას. მხარეები განსახილველ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ.

**13 იანვარი, 2020**
ნიკოლოზ ლალიაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა ბიზნესის რედაქციის აღმასრულებელ პროდიუსერს, ანა ცხოვრებოვას და მოსთხოვა, რომ გადაცემაში არ გაეშვათ კონკრეტული

სიუჟეტი. იუჟეტის თემა იყო ე.წ. „მაღლივის საბაგირო“. ლალიაშვილმა პროდიუსერს მიზეზად დაუსახელა, რომ “მერიაში ნერვიულობენ”. ამ დროისთვის ნიკოლოზ ლალიაშვილი კვლავ დირექტორის მოადგილე იყო. სატელეფონო საუბრის დროს ანა ცხოვრებოვამ ნათლად განუცხადა, რომ ასეთი კომუნიკაცია მიუღებელი იყო. მისი თქმით, ბიზნესის რედაქციისთვის არ იყო მნიშვნელოვანი, ინერვიულებდა თუ არა რომელიმე ჩინოვნიკი ამა თუ იმ თემის გაშუქების გამო, რადგან უფრო მნიშვნელოვანი იყო მომხმარებლის ინტერესი, სცოდნოდათ, თუ რატომ არ ამუშავდა საბაგირო, რომლის რეაბილიტაციაზე თანხა დაიხარჯა. რედაქციამ დირექტივა არ გაითვალისწინა და თემა მაინც გააშუქა.

**25 თებერვალი, 2020**

ნიკოლოზ ლალიაშვილი გვიან საღამოს შეხვდა ბიზნესის რედაქციის რამდენიმე თანამშრომელს. ლალიაშვილის განცხადებით, 16 მარტიდან ეთერში უნდა გასულიყო ახალი ბიზნეს-გადაცემა და მას სურდა, რომ ახალი გადაცემის მომზადებაში ჩართულიყვნენ ტელეკომპანია “მაესტროს” ბიზნესის რედაქციის თანამშრომლები. ამ ეტაპისთვის გარკვეული არ იყო თანამშრომელთა ფუნქციები. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ანა ცხოვრებოვა არ იქნებოდა არც აღმასრულებელი პროდუსერი და არც გადაცემის წამყვანი. შესაბამისად, იგი არ მიიღებდა გადაწყვეტილებას გასაშუქებელ საკითხებთან დაკავშირებით. ამ შეხვედრაზე ნიკოლოზ ლალიაშვილმა კვლავ გაიმეორა წინა შეხვედრებზე ჩამოყალიბებული ხედვა, რომ არხის სარედაქციო პოლიტიკის პრიორიტეტი არ არის მთავრობის კრიტიკა და მთავარი მიზანია: “ნაციონალური მოძრაობა” არ უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში”. მისივე თქმით, ამ მოსაზრებას უპირობოდ უნდა იზიარებდეს კომპანიის ყველა თანამშრომელი. ნიკოლოზ ლალიაშვილმა ჟურნალისტები ტექნიკური დეტალების მოსაგვარებლად თავის მოადგილესთან გაუშვა. ბიზნესის რედაქციის თანამშრომლებმა შესთავაზეს მას, რომ ახალი გადაცემის შექმნამდე გადაცემა “ბიზნესის სიახლეები” “მაესტროზე” დარჩენილიყო. ლალიაშვილმა უპასუხა, რომ გაარკვევდა, თუ რამდენად იყო ეს შესაძლებელი.

**27 თებერვალი, 2020**

ტელეკომპანია “იმედის” ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მოთხოვნით, ერთმანეთს შეხვდნენ ახალი გადაცემის მომავალი წამყვანი, გურამ ნიკოლაშვილი და გადაცემა “ბიზნესის სიახლეების” სარედაქციო გუნდი. შეხვედრაზე ჟურნალისტებმა კვლავ ვერ მიიღეს სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტია.

**28 თებერვალი, 2020 (პარასკევი)**

28 თებერვალს გადაცემა ბოლოჯერ გავიდა ტელეკომპანია “მაესტროს” ეთერში. გადაცემის ბოლოს წამყვანმა, ანა ცხოვრებოვამ ისაუბრა გადაცემის დახურვისა და სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის შესახებ. იმავე საღამოს “მაესტროს” გენერალურმა პროდუსერმა, ვარლამ ავალიანმა გადაცემა “ბიზნესის სიახლების” თანამშრომლებს, ანა ცხოვრებოვას თანადასწრებით უთხრა, რომ ნიუსრუმში მათი ადგილები სჭირდებოდა სხვა თანამშრომლებისთვის და ორშაბათიდან უნდა “დაეცალათ ოთახი”. ავალიანი გაღიზიანებული იყო იმით, რომ წამყვანმა ეთერში თქვა გადაცემის დახურვის მიზეზი. არხის გენერალურ პროდუსერსა და რედაქციის თანამშრომლებს შორის შემდგომაც იყო შეურაცხმყოფელი კომუნიკაცია, რადგან, მისი თქმით, ბოლო ეთერის შემდეგ, გადაცემის დახურვაზე პასუხს ყველა მას სთხოვდა, თუმცა ეს გადაწყვეტილება მას არ მიუღია.

**13 მარტი, 2020**

ტელეკომპანია “იმედის” ადამიანური რესურსების სამსახურმა ანა ცხოვრებოვას აცნობა, რომ რედაქციის ახალ ხელმძღვანელად დაინიშნა გურამ ნიკოლაშვილი და გადაცემა “ბიზნესის სიახლეების” სარედაქციო ჯგუფი მას უნდა შეხვედროდა. ანა ცხოვრებოვა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კორონავირუსთან დაკავშირებული მკაცრი ზომების გამო, ამ შეხვედრას დისტანციურად დაესწრო, დანარჩენი თანამშრომლები მივიდნენ შეხვედრაზე. გუნდმა კვლავ მოითხოვა სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიები, ისევე, როგორც სამომავლო სამუშაოს აღწერილობა.

**18 მარტი, 2020**

არაერთი მცდელობის მიუხედავად, მიეღოთ სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიები და ემუშავათ სამუშაოს მკაფიო აღწერილობით, ჟურნალისტებმა არხთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ანა ცხოვრებოვამ, ნინო კვინტრაძემ, ნუცა შუბაშვილმა, მარიამ მჭედლიშვილმა და გიგა ბენიამ სამსახურიდან წასვლის შესახებ დაწერეს განცხადება და ამის შესახებ წინასწარ აცნობეს გურამ ნიკოლაშვილს.

განმცხადებლებმა, სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის დასადასტურებლად, წარმოადგინეს აუდიო ჩანაწერები, რომლებიც ასახავს ნიკოლოზ ლალიაშვილთან საუბარს 2019 წლის 24 დეკემბერს [აუდიო N 1] და 2020 წლის 25 თებერვალს [აუდიო N 2 და N 3]. საბჭო გაეცნო აღნიშნულ ჩანაწერებს:

## 2019 წლის 24 დეკემბრის შეხვედრა:

1. ჟურნალისტის არგუმენტზე, რომ იგი ამბებს აშუქებს დაბალანსებულად, ნიკოლოზ ლალიაშვილი პასუხობს: „ეგ სიტყვა დაივიწყე, გეხვეწები რა, დაბალანსებული დაივიწყე რა, დაბალანსებული ნიშნავს რა უსუნოს, უგემოს, სტერილურს, ცუდია დაბალანსებული“. ქარტიის საბჭო აღნიშნავს, რომ არა თუ უნდა დაივიწყოს, არამედ ჟურნალისტის მთავარი მოვალეობაა, რომ ამბები დაბალანსებულად გააშუქოს. ჟურნალისტური საქმიანობა განსაკუთრებული სოციალური დატვირთვის მქონე საქმიანობაა. მედიის მიზანია, მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია, რათა აუდიტორიამ გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. მაყურებელს/მომხმარებელს აქვს გულწრფელი მოლოდინი, რომ მას ჟურნალისტი აწვდის ყველა მხარესთან გადამოწმებულ, გამოკვლეულ და შემოწმებულ ინფორმაციას. ეს არის საზოგადოების ძირითადი უფლება და, შესაბამისად, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბალანსი და გაავრცელოს ზუსტი ინფორმაცია. ეთიკის ქარტიის პირველი და მთავარი პრინციპი ასე იკითხება: “ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია”. ნიკოლოზ ლალიაშვილის ამ ფრაზაში ჩანს, რომ მისი სურვილია, ჟურნალისტმა უარი თქვას ეთიკურ, პროფესიულ ვალდებულებაზე და ინფორმაცია გააშუქოს მიკერძოებულად.
2. ჟურნალისტი ეკითხება ნიკოლოზ ლალიაშვილს, თუ რატომ უნდა თქვას უარი ამბების ობიექტურად გაშუქებაზე. ლალიაშვილი პასუხობს, რომ ისინი არიან ომში და თუ ჟურნალისტი უარს იტყვის მის მითითებაზე, რომ არ დაიცვას ბალანსი, ის „დეზერტირია“: „ჰოდა ეხლა შევდივართ აქტიური ომის ფაზაში,“ „არ შეიძლება, შენ თქვა, რომ არ ხარ ფრონტის ხაზზე, როცა შენი ჯარი, მე ვარ შენი ჯარი, ჩვენ “იმედი” ვართ ერთი გუნდი, ჩვენ თუ ვომობთ და შენ ამბობ, „მე არ ვომობ“, ეგ არის დეზერტირობა, მაგას ქვია დეზერტირობა“
3. ნიკოლოზ ლალიაშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის ომი როგორც ბიზნეს მოწინააღმდეგეებთან (“რუსთავი-2”, “მთავარი არხი” და ა.შ.), ასევე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან, რომელთაც “იმედის” სარედაქციო პოლიტიკა არ მოსწონთ. მისი თქმით, ამ ომში ჩართულია „დაჟე გართობა, პროდაქშენი, ნიუსზე ხომ ლაპარაკი არ არის, პოლიტიკური ტოქშოუები“
4. ჟურნალისტი არ აპირებს „ომში“ ჩართვას და ამბების მიკერძოებულად გაშუქებას. იკოლოზ ლალიაშვილი პასუხობს, რომ მას არა აქვს კორპორატიული სოლიდარობა.
5. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედიასაშუალების მთავარი ეთიკური ვალდებულება მიუკერძოებლობაა. ჟურნალისტთან საუბარში ნიკოლოზ ლალიაშვილი კიდევ ერთხელ გამორიცხავს ამ პრინციპს და ეუბნება მას:„ახლა ამ არხს გაუჩნდა პოზიცია, ანუ არის მიკერძოებული. არხს აქვს პოზიცია, ეს პოზიცია არის ანტი-ნაციონალური მოძრაობის პოზიცია, ძალიან მკაფიო პოზიციაა რა, ამ არხს გაუჩნდა პოლიტიკა, სუნი, ფერი, გემო, რაც აქამდე არ ჰქონდა, იყო სტერილური, ანუ დაბალანსებული“.
6. საბჭო ყურადღებას ამახვილებს ნიკოლოზ ლალიაშვილის მიზანზე, რომ „დააკრისტალოს“ მისი მაყურებელი. ჟურნალისტი ეკითხება, შეესაბამება თუ არა არხის პოლიტიკას ახალი ამბების ობიექტურად გაშუქება, რაზეც ნიკოლოზ ლალიაშვილი პასუხობს, რომ „შენი ფეხი არ დგამს იქეთ მხარეს ნაბიჯს, საითაც დგამს იმედი“. ასეთი ქმედებით მაყურებელი იბნევა. თუ ჟურნალისტი ცდილობს, მაყურებელი „დაკრისტალდეს“, საჭიროა ჟურნალისტიც ჩაერთოს იმ „ომში“, რომელსაც “იმედი” ეწევა და გამორიცხულია ამბების ობიექტურად და დაბალანსებულად გაშუქება.

7. საუბრის ბოლოს გამოიკვეთა, კონკრე-ტულად რა იყო მიუღებელი ნიკოლოზ ლალიაშვილისთვის. პერიოდულად საუბარი ეხებოდა ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას ლარის ინფლაციაზე. ნიკოლოზ ლალიაშვილს კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა, ჟურნალისტის კითხვაზე: „ანუ მთავრობა რომ არ გვეხსენებინა და ისე გაგვეშუქებინა ინფლაცია, რომ რეალურად გვიუფასურებს გაზრდილ ხელფასებს, პრობლემა არ არის? ..“ ნიკოლოზ ლალიაშვილი პასუხობს - „არ არი“. ანუ იკვეთება, რომ ტელეკომპანიას და, შესაბამისად, ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ პროსახელისუფლებო პოზიცია, რომ თავი უნდა შეიკავონ მთავრობის კრიტიკისაგან.

## 2020 წლის 25 თებერვლის შეხვედრა:

აღნიშნულ შეხვედრაზეც ნიკოლოზ ლალიაშვილი აგრძელებს არხის სარედაქციო პოლიტიკაზე საუბარს.

1. 1. ჟურნალისტები ნიკოლოზ ლალიაშვილთან ერთად განიხილავენ მომავალ გადაცემას და სარედაქციო დამოუკიდებლობას. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია სარედაქციო დამოუკიდებლობა. ლალიაშვილი პასუხობს, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, „თუ თქვენი ღირებულებები თანხვედრაშია არხის სარედაქციო პოლიტიკასთან“. რომ ეს პოლიტიკა არის„არა ნაცების დაბრუნებას ხელისუფლებაში“.
2. ნიკოლოზ ლალიაშვილი აცხადებს, რომ სარედაქციო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს არხის “big idea” -ს, რომელიც არის: „შესაბამისად ჩვენ ვართ როგორც ჰოლოკოსტ გამოვლილი ებრაელები, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში, არანაირ ფასად არ ითანამშრომლებენ მესამე რაიხთან და ნაციზმთან, არასოდეს და ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს რომ ნაციზმი არ აღორძინდეს. ეს არის იმედის სარედაქციო პოლიტიკა. ეს არის basic principle, ჩვენი Big idea ეგ არის“.
3. „სარედაქციო თავისუფლება - ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, ეს არის გამოგონილი ფანტომი“, - ასე აფასებს ნიკოლოზ ლალიაშვილი ჟურნალისტის კითხვას, ექნებათ თუ არა სარედაქციო თავისუფლება.
4. ჟურნალისტი საუბრისას იხსენებს ორ ფაქტს, როდესაც მის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩაერივნენ:
5. „ახალი წლის შემდეგ საჯარო სამსახურის ბიურომ გამოაქვეყნა მონაცემები, საჯარო დეკლარაციებში ხარვეზებზე მთავრობის წევრების. ეს იყო სრულიად ხელმისაწვდომი, საჯაროდ საიტზე გამოქვეყნებული დოკუმენტი რომლის გაშუქებაც გვინდოდა და ამას მოყვა ამბავი, რომ სრულიად მთავრობის პიარმა დაიწყო რეკვა ტელევიზიაში, რომ არ გააშუქოთ ეგ“.

„მთავრობამ მიწა გაასხვისა ერთ-ერთ კომპანიაზე იმ მიზნით, რომ ის საბაგიროს გააკეთებდა და მონეტიზაციიდან გარკვეულ შემოსავალს მივიღებდით, რაც არ მოხდა. ეს ტერიტორია ჩაკეტილია და ნაგვის ბუნკერად არის გადაქცეული, თქვენი [იგულისხმება ნიკოლოზ ლალიაშვილი] სურვილი იყო, რომ ეს თემა არ გაშუქებულიყო“. ნიკოლოზ ლალიაშვილს ფაქტი არ უარყვია, რომ ნამდვილად ჰქონდა მისი მხრიდან სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას. პირიქით, იგი ხაზს უსვამს, რომ ჩარევა მისაღებია, თუ „მთავარ იდეას ემსახურება“, რომ კრიტიკაც უნდა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით საბჭოსათვის ცალსახაა, რომ ადგილი ჰქონდა სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას, ჟურნალისტის იძულებას, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ. ჟურნალისტის აზრი და ქცევა იყო მისი სურვილი, რომ დაეცვა ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპები, ამბები აუდიტორიისათვის მიეწოდებინა დაბალანსებულად, ობიექტურად. ამის საპირისპიროდ მას სთხოვდნენ და აიძულებდნენ, რომ ცალმხრივად და მიკერძოებულად ემუშავა, არ გააკრიტიკებინა ხელისუფლება.

ტელეკომპანია “იმედი” ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ტელევიზიაა საქართველოში და

მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მისი დირექტორი არა მხოლოდ ახორციელებს კომპანიის ადმინისტრაციულ მენეჯმენტს, არამედ პირდაპირ ჩართულია სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრაში და ამავე დროს, ამ ჩართულობის წინაპირობაა მისი მოსაზრებები, რომ ბალანსი ცუდია, სარედაქციო დამოუკიდებლობა არ არსებობს, ჟურნალისტური საქმიანობა ომია კონკრეტული პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგოდ და მეორე ძალის სასარგებლოდ. საყურადღებოა არხის დამოკიდებულება საკუთარი მაყურებლების მიმართ, რომ მაყურებელი უნდა „დაკრისტალდეს“ და მათ უნდა მიეწოდოს მხოლოდ მიკერძოებული ინფორმაცია.
ქარტიის საბჭო ცალკე გამოყოფს ჟურნალისტთა ქმედებას, რომ არ დამორჩილდნენ მათ დამოუკიდებლობაში ჩარევას და გაასაჯაროეს მედიამენეჯერების სურვილი, რომ ჟურნალისტები აქციონ მიკერძოებულ ჯარისკაცებად პოლიტიკურ ძალთა ომში.

## სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:
ნიკოლოზ ლალიაშვილმა დაარღვია ქარტიის მე-2 პრინციპი.

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ნინო რამიშვილის და ნინო ზურიაშვილის წინააღმდეგ

**სხდომის თავმჯდომარე:** ზვიად ქორიძე, საბჭოს წევრი

**საბჭოს წევრები:** ირმა ზოიძე, მაია მერკვილაძე, გელა მთივლიშვილი, ნათია ზოიძე, ნინა ხელაძე.

**განმცხადებელი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

**განმცხადებელი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

**მოპასუხე:** ნინო რამიშვილი და ნინო ზურიაშვილი

## აღწერითობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა [შემდგომ „უნივერსიტეტი“ ან „განმცხადებელი“], რომელიც მიიჩნევდა, რომ სტუდია მონიტორის და რადიო თავისუფლების ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადებულ ჟურნალისტურ პროდუქტში “სადავო 40 გვერდი დისერტაციიდან - დოკუმენტები თსუ-ს რექტორს პლაგიატში ამხელს” დაირღვა ქარტიის 1-ლი და მე-5 პრინციპი. მოპასუხე პირებად განისაზღვრნენ ჟურნალისტი ნინო რამიშვილი და რედაქტორი ნინო ზურიაშვილი.

საქმის განხილვას დაესწრნენ როგორც განმცხადებლის წარმომადგენლები, ისე მოპასუხე ჟურნალისტები.

## სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის პირველი პრინციპი „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“. განმცხადებელმა თავისი არგუმენტაცია ძირითადად ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1. „პრინციპი დარღვეულია სათაურშივე, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს თსუ-ს რექტორის ნაშრომში ვხვდებით პლაგიატს [ფრაზა სათაურიდან: დოკუმენტები თსუ-ს რექტორს პლაგიატში ამხელს], ჟურნალისტი ამ დასკვნას აკეთებს შესაბამისი დასაბუთების გარეშე“.
2. „მითვისებული ნაშრომი“ წარმოადგენს იურიდიული ხასიათის დოკუმენტს, თუმცა რეპორტაჟში არ არის საუბარი იმაზე, რომ კანონის თანახმად, ამგვარი დოკუმენტის სადისერტაციო ნაშრომში გააზრება [გადატანა] არ წარმოადგენს პლაგიატს. მითუმეტეს, თუ ეს ნორმა მოქმედებს და მიღებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ. სხვაგვარად რომ განვმარტოთ, კანონზე საავტორო უფლებები არ ვრცელდება“.
3. „საკითხის სწორად გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ხაზგასმით მითითება, ეს შეხედულება წარმოადგენს მხოლოდ ჟურნალისტის ნააზრევს, თუ ობიექტურ გარემოებას. გავრცელებული რეპორტაჟიდან კი ისე ჩანს, თითქოს პლაგიატის არსებობა ცალსახადაა დადგენილი. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო რეპორტაჟში წარმოჩენილიყო იმ პერიოდში დისერტაციის დაცვისას არსებული რეგულაციების შესახებ ინფორმაცია“.

ქარტიის საბჭომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. უნივერსიტეტის ამჟამინდელმა რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, 2003 წელს, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია სათაურით „სტრუქტურული რეფორმები უმაღლეს განათლებაში და საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ტენდეციები“, შემდგომ - „დისერტაცია“.
2. დისერტაცია მე-18 გვერდიდან 58-ე გვერდის ჩათვლით ზუსტად იმეორებს „საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 1 მარტის №1324–IIს დადგენილების განმარტებით ბარათს.
3. დადგენილების განმარტებითი ბარათი თავის მხრივ წარმოადგენდა ფონდი “ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტს.
4. დადგენილებაზე თანდართული განმარტებითი ბარათი [პოლიტიკის დოკუმენტი], 2002 წელს ბეჭდური [ბუკლეტის] სახით გამოიცა ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით და ეწოდება „საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიმართულებები“. ამასთან, ბუკლეტის შესავალში აღნიშნულია ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლიტიკის/ განმარტებითი ბარათის შექმნაში.
5. პოლიტიკის დოკუმენტი [განმარტებითი ბარათი] როგორც აღინიშნა მომზადებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი შარვაშიძე.
6. დისერტაციის 58-ე გვერდზე, ქვეთავში „საკანონმდებლო ინიციატივები საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში“, გიორგი შარვაშიძე უთითებს იმ ექპერტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ განმარტებითი ბარათის შემუშავებაში, მაგრამ ამასთან არ ახსენებს, რომ ექსპერტების მიერ შემუშავებული განმარტებითი ბარათი თავად აქვს სრულად გამოყენებული დისერტაციაში.

ქარტიის საბჭო, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აცხადებს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში არ მსჯელობას იმაზე, რომ მითითების გარეშე პოლიტიკის დოკუმენტიდან [განმარტებითი ბარათიდან] 40 გვერდის გადმოტანა დისერტაციაში არის თუ არა გიორგი

შარვაშიძის დისერტაციის ძალადაკარგულად ცნობის ან მისთვის ხარისხის ჩამორთმევის საფუძველი. ეს არ წარმოადგენს ქარტიის საბჭოს კომპეტენციას. ქარტიის საბჭო მსჯელობს, რამდენად ჰქონდა უფლება ჟურნალისტს, აღნიშნული ფაქტისათვის ეწოდებინა სიტყვა „პლაგიატი“.

როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, გიორგი შარვაშიძემ თავის დისერტაციაში გადმოიტანა არა ბუკლეტის ტექსტი, არამედ დადგენილების განმარტებითი ბარათი, რომელიც არის ნორმატიული დოკუმენტი და მასზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები.

პლაგიატის საკანონდებლო განმარტება არ არსებობს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სიტყვა „პლაგიატის“ გამოყენებას საბჭო აფასებს არა მისი სამართლებრივი შინაარსის ან სამართლებრივი შედეგების კუთხით, არამედ არსობრივი დატვირთვით: რას გულისხმობდა ჟურნალისტი, და ამ სიტყვის გამოყენებით რამდენად სწორი ინფორმაცია მიიღო აუდიტორიამ. ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

1. ცალსახაა, რომ განმარტებითი ბარათი, რომელიც თან ახლავს დადგენილებას, წარმოადგენს სხვადასხვა პირების [ექსპერტთა ჯგუფის] ინტელექტუალური შრომის შედეგს.
2. განმარტებითი ბარათი იყო განათლების სფეროს ექსპერტების ხანგრძლივი და ერთობლივი მუშაობის შედეგი.
3. თავად სიტყვა “პლაგიატის” მნიშვნელობაზე არაერთხელ უმსჯელია ქარტიის საბჭოს. თავად ქარტიის ერთ-ერთი პრინციპის თანახმად, “ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: პლაგიატი”. ქარტია პლაგიატს განმარტავს როგორც „სხვისი მასალის კოპირება ან იმიტირება“. საქმეში „ჩაიხანა ნინუცა კახნიაურის წინააღმდეგ“ საბჭომ ყურადღება გაამახვილა, რომ სხვისი შრომის/ძალისხმევის უგულვებელყოფა ასევე შეიძლება პლაგიატად ჩაითვალოს.
4. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჟურნალისტს ჰქონდა შემდეგი მოცემულობა: [ა] დისერტაციის 40 გვერდი ეთმობა კვლევებს, მიგნებებს, პრობლემებს განათლების სფეროში. [ბ] ნებისმიერი მესამე პირისათვის სარწმუნო იყო, რომ ყველა ეს კვლევა, მიგნება, გიორგი შარვაშიძემ თავად და დამოუკიდებლად განახორციელა. [გ] აღმოჩნდა რომ სინამდვილეში ეს შრომა არა მხოლოდ გიორგი შარვაშიძემ, არამედ პირთა დიდმა ჯგუფმა გასწია.

შესაბამისად, ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ სხვა პირების შრომის უგულვებელყოფა და შთაბეჭდილების შექმნა, რომ დისერტაციის 40 გვერდის ავტორი მხოლოდ გიორგი შარვაშიძეა, შესაძლებელი იყო ჟურნალისტს შეეფასებინა როგორც პლაგიატი. გარემოება, რომ ეს 40 გვერდი ასევე წარმოადგენდა ნორმატიული აქტის განმარტებით ბარათს, ფორმალურია, რომელიც შეიძლება დისერტაციის ავტორმა მტკიცებულებად სხვა ასევე ფორმალურ გარემოში [სასამართლო, აკადემიური წრეები და ა.შ] გამოიყენოს. საბჭოსათვის მთავარი ამოცანა იყო შეეფასებინა, არსობრივად რამდენად სწორი ინფორმაცია მიიღო აუდიტორიამ, როცა მას ჟურნალისტმა უთხრა, რომ გიორგი შარვაშიძის დისერტაცია პლაგიატს შეიცავდა. საბჭო მიიჩნევს, რომ ამ სიტყვის გამოყენებით ჟურნალისტმა მაყურებელს სწორი ინფორმაცია მიაწოდა.

ქარტიის მე-5 პრინციპის თანახმად „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“. ვინაიდან არ დადგინდა ქარტიის პირველი პრინციპის [არაზუსტი/გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება] დარღვევა, შესაბამისად მე-5 პრინციპის დარღვევაც გამოირიცხა.

## სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ნინო რამიშვილს და ნინო ზურიაშვილს არ დაურღვევიათ ქარტიის 1-ლი და მე-5 პრინციპები.

# ნათია ჩუხაია ნიკა გვარამიას წინააღმდეგ

**საბჭოს თავმჯდომარე:** ნანა ბიგანიშვილი

**საბჭოს წევრები:** კამილა მამედოვა, ლიკა ზაკაშვილი, ირმა ზოიძე, ზვიად ქორიძე, მაია მერკვილაძე, გელა მთივლიშვილი, ნათია ზოიძე

**განმცხადებელი:** ნათია რუხაია

**მოპასუხე:** ნიკა გვარამია

## აღწერითობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა ნათია რუხაიამ, რომელიც მიიჩნევდა რომ 2020 წლის 07 ივლისს, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში, საინფორმაციო გადაცემა **„მთავარის“ 21:00 საათის გამოშვებაში გასული სიუჟეტში „ექსკლუზივი: შაქარაშვილის საქმის ახალი სკანდალი – კადრებში სავარაუდოდ “კაწრო” ფიგურირებს“** დაირღვა ქარტიის პირველი, მე-3 და მე-11 პრინციპი.

საქმის განხილვას დაესწრნენ როგორც განმცხადებლის წარმომადგენელი, ისე მოპასუხის ინტერესების დამცველები.

## სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის პირველი პრინციპი “ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია”. სადაო სიუჟეტი ეხებოდა გიორგი შაქარაშვილის ბურუსით მოცულ გარდაცვალების ფაქტს, რომლის გამოძიების პროცესმაც ბევრი კითხვა წარმოშვა. სიუჟეტის თანახმად, „მთავარმა არხმა“ მოიპოვა სკანდალური მტკიცებულება, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ შეცვალოს საქმეში. კონკრეტულად საუბარი იყო ვიდეოკამერის ჩანაწერებზე, რომელიც ასახავს საქმის ერთ - ერთი მთავარი მოწმის, გურამ ამირხანაშვილის და უცნობის პირის კონტაქტს დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მას შემდეგ რაც ამირხანაშვილი მცხეთიდან [სადაც ადგილი ჰქონდა ტრაგიკულ მოვლენებს] თბილისში ბრუნდება.

გადაცემაში ერთვება ნიკა გვარამია, რომელიც საუბრობს იმის შესახებ თუ ვინ შეიძლება იყოს უცნობი მამაკაცი, რომელიც, ვიდეოკადრების მიხედვით, დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიკროავტობუსიდან ჩამოდის და რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ შედის კონტაქტში გურამ ამირხანაშვილთან.

## ეპიზოდი 1

შეხვედრის ამსახველი კადრების ჩვენების პარალელურად ნიკა გვარამია ამბობს: „მას (გურამ ამირხანაშვილს) აფრთხილებენ, რომ გააკეთოს იმიტაცია ქუჩაზე გადასვლის“, „ის -(გურამ ამირხანაშვილი) ბრუნდება უკან და, როგორც ჩანს, გაფრთხილებულია, რომ უნდა დაელოდოს

სხვა პირს, რომელიც მოაკითხავს სხვა მანქანით და მართლაც ვხედავთ, რომ რამდენიმე წუთში მას აკითხავს სხვა პირი, სხვა მანქანით“. ნიკა გვარამიამ კიდევ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ გურამ ამირხანაშვილი ახდენდა ქუჩაზე გადასვლის იმიტაციას და რომ იგი წინასწარ გაფრთხილებულია უცნობ პირთან შეხვედრის შესახებ და ელოდება მას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკა გვარამიამ მაყურებელს დადასტურებულად მიაწოდა ინფორმაცია, რომ კონტაქტი გურამ ამირხანაშვილსა და უცნობ პირს შორის იყო არა შემთხვევითი, არამედ დაგეგმილი.

## ეპიზოდი 2

ნიკა გვარამია ცდილობს, დაადგინოს უცნობი პირის ვინაობა. იგი აცხადებს, რომ უცნობი პირი „ძალიან გავს“ ავთანდილ ბილანიშვილს, ზედმეტი სახელით „კაწრო“. აქვე აღნიშნავს, რომ „კაწრო“, მათივე ინფორმაციით, მფარველობს გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალებაში დამნაშავე პირებს. ნიკა გვარამია ხაზს უსვამს, რომ ის ვერ დაამტკიცებს, უცნობი პირი მართლაც ავთანდილ ბილანიშვილია თუ არა. მისი აზრით, ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ გარეგნობით ძალიან ამსგავსებს ერთმანეთს კამერებზე აღბეჭდილ პირს და “კაწროს”. ნიკა გვარამია ამბობს: „ვაჩვენოთ ბილანიშვილის ფოტოები და დარწმუნდეს მაყურებელი, რომ მართლაც დიდი მსგავსებაა გარეგნული იმ ადამიანს შორის, ვინც ეხლა მანდ მოძრაობს და იმ ადამიანს შორის, ვის ფოტოებსაც გაჩვენებთ“. ეკრანზე მაყურებელი ხედავს ავთანდილ ბილანიშვილის სხვადასხვა ფოტოს.

## ეპიზოდი 3

შემდეგი ეპიზოდი ასევე ეხება ავთანდილ ბილანიშვილს. ნიკა გვარამია დადასტურებულად -აცხადებს რომ შოვში, სასტუმრო „სანსეტ შოვში“ გაიმართა კახი კალაძის ე.წ. „გუნდის“ შეკრება, რომელსაც ესწრებოდა ავთანდილ ბილანიშვილიც.

ქარტიის საბჭო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით საბჭო ვერ დაადგენს ზოგადად ინფორმაციის ნამდვილობას, კერძოდ, ვინ იყო მიკროავტობუსიდან გადმოსული პირი, ნამდვილად იყო თუ არა დაგეგმილი მისი და გურამ ამირხანაშვილის შეხვედრა, ან ესწრებოდა თუ არა ავთანდილ ბილანიშვილი სასტუმრო „სანსეტ შოვში“ გამართულ შეხვედრას. საბჭო აფასებს, რამდენად დაიცვა ჟურნალისტმა ინფორმაციების მიწოდებისას მაყურებლის უფლება, მიეღო -ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია.

პირველ ეპიზოდში ნიკა გვარამია დადასტურებულად საუბრობს, რომ უცნობი პირის და გურამ ამირხანაშვილის შეხვედრა იყო „დაგეგმილი“ და ამირხანაშვილი წინასწარ იყო გაფრთხილებული ამის შესახებ. საბჭო ყურადღებას ამახვილებს იმაზე რამდენად ჰქონდა ნიკა გვარამიას საფუძველი, (1) რომ მტკიცებით ფორმაში შეხვედრა „დაგეგმილად“ შეეფასებინა, (2) რომ გურამ ამირხანაშვილი ქუჩაზე გადასვლის „იმიტაციას“ აკეთებდა, (3) რომ რეალურად ელოდება ვიდეოკადრებზე აღბეჭდილ უცნობს. თავად სიუჟეტში ნიკა გვარამია არ მიუთითებს წყაროზე ან სხვა მტკიცებულებაზე, რომელიც საფუძველს მისცემდა მას დადასტურებულად ეთქვა, რომ შეხვედრა წინასწარ განზრახული იყო. საბჭოს პოზიციით, ნიკა გვარამიამ მისი პირადი მოსაზრება ან კონფიდენციალური წყაროდან მიღებული ინფორმაცია - რომ გური ამირხანაშვილის და უცნობი პირის შეხვედრა დაგეგმილი იყო და იგი უკავშირდებოდა გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების ფაქტს, მაყურებელს მიაწოდა დადასტურებული ფაქტის სახით, რაც წარმოადგენს ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევას.

მეორე ეპიზოდი ეხება უცნობი პირის და ავთანდილ ბილანიშვილის მსგავსებას. ნიკა გვარამია რამდენჯერმე ხაზს უსვამს, რომ იგი ვერ და არ ამტკიცებს მათ იდენტურობას. ამის მიუხედავად, ამბის მიწოდების ხერხებით და აქცენტებით მაყურებელს უჩნდება განცდა, რომ სწორედ “კაწროა” მიკროავტობუსიდან გადმოსული პირი, რომელიც შეხვდა გურამ ამირხანაშვილს. ამ პოზიციას

ამყარებს ის ტექსტიც, რომელიც თან ერთვის mtavari.tv-ზე განთავსებულ სადაო სიუჟეტს: „19 წლის ფეხბურთელის ბურუსით მოცული გარდაცვალების საქმის კვალი ავთანდილ ბილანიშვილამდე, იგივე "კაწრომდე" მიდის - სკანდალური მტკიცებულებები "მთავარი არხის" გამომძიებელმა ჟურნალისტებმა გიორგი შაქარაშვილის საქმის მასალების დეტალური გაშიფვრის შემდეგ აღმოაჩინეს." საბჭოს შთაბეჭდილება დარჩა, რომ ნიკა გვარამიამ ავთანდილ ბილანიშვილის და უცნობის იდენტურობაზე ისაუბრა მხოლოდ პირადი ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავად ვიდეოკადრები არ გამოირჩევა მაღალი გარჩევადობით.
ნიკა გვარამიას მიერ შემოთავაზებული ვერსია, რომ ავთანდილ ბილანიშვილი ჩართულია შაქარშვილის საქმეში, მფარველობს ბრალდებულ პირებს, კონფიდენციალურად და დაგეგმილად ხვდება საქმის მთავარ მოწმეს, - მძიმე დანაშაულში ბრალდებაა. მსგავსი ბრალდების წარდგენისას ჟურნალისტმა უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ფაქტი, რამდენად საფუძვლიანი არგუმენტები შეიძლება არსებობდეს, რომ თუნდაც სავარაუდოდ გამოთქვა ასეთი მძიმე ბრალდება. საბჭოს შეფასებით, ნიკა გვარამიას პირადი ვიზუალური დაკვირვება, რომ უცნობი პირი და ავთანდილ ბილანიშვილი ერთმანეთს გავს, არ იყო საკმარისი წინაპირობა. აღსანიშნავია, სადაო სიუჟეტის გასვლის შემდეგ თავად ნიკა გვარამიამ უარყო საკუთარი ვერსიის მართებულობა და აღნიშნა, რომ უცნობი პირი არ იყო ავთანდილ ბილანიშვილი. მიუხედავად ამისა შედეგი დადგა. სადაო სიუჟეტის და მასზე დაყრდნობით მომზადებული სხვა ჟურნალისტური პროდუქტების კომენტარებიდან ცალსახად ჩანს, რომ აუდიტორიამ სარწმუნოდ მიიღო ნიკა გვარამიას ის ვერსია, რომელიც მერე თავადვე უარყო.

საბჭომ ასევე კითხა მოპასუხე მხარეს, სიუჟეტის მომზადებისას ჟურნალისტმა სცადა თუ არა ავთანდილ ბილანიშვილთან დაკავშირება. მათი განცხადებით, ზოგადად, არაერთხელ სცადეს დაკავშირება, კორესპონდენტები მივიდნენ ავთანდილ ბილანიშვილის საცხოვრებელ უბანში და სახლთან, მაგრამ როგორც თავად, ისე მისმა ოჯახის წევრებმაც უარი განაცხადეს კონტაქტზე. ამასთან მხარემ ვერ დაადასტურა, ჰქონდათ თუ არა კომუნკაციის მცდელობა ავთანდილ ბილანიშვილის კომენტარის მისაღებად უშუალოდ სადაო სიუჟეტის მომზადებისას.

განმცხადებელმა დაადასტურა რომ ავთანდილ ბილანიშვილი მართლაც იმყოფებოდა სასტუმრო „სანსეტ შოვში", მაგრამ უარყო, რომ იგი ესწრებოდა ე.წ. „კალაძის გუნდის" შეკრებას. მოპასუხეს არც სიუჟეტში და არც შემდგომ, განხილვის პროცესში არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომ "კაწრო" არა მხოლოდ იყო შოვის სასტუმროში, არამედ მონაწილეობდა პოლიტიკოსებთან შეხვედრაშიც. სიუჟეტში მტკიცებითი ფორმით საუბარია ავთანდილ ბილანიშვილის და პოლიტიკოსთა შეხვედრაზე, რაც ასევე გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას წარმოადგენს.

ქარტიის მე-3 პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია".

ქარტიის ამ პრინციპის განმარტებით, „წყარო დადასტურებულია" ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ჟურნალისტმა იცის, ვინ არის ამა თუ იმ ფაქტის წყარო – თუმცა, შეუძლია, მისი ვინაობა არ გაამხილოს. ამ მუხლის ქვემდებარე არ არის წყაროს სანდოობის საკითხი." აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ და მესამე ეპიზოდში სრულად დასაშვებია, რომ ნიკა გვარამიას ჰყავდა წყარო, რომელმაც მას აცნობა, რომ გურამ ამირხანაშვილის და უცნობი პირის შეხვედრა დაგეგმილი იყო, რომ ერთ სასტუმროში მყოფი ავთანდილ ბილანიშვილი და პარალამენტის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ. შესაბამისად, საბჭო არ ადგენს მესამე პრინციპის დარღვევას. რაც შეეხება მე-2 ეპიზოდს, საბჭომ დაადგინა რომ დადასტურებული ფაქტის სახით ინფორმაცია არ გავრცელებულა, არამედ ეს იყო ნიკა გვარამიას მოსაზრება და ამას თავადაც გაუსვა ხაზი. პერსონალურ მოსაზრებებს წყარო არ სჭირდება და, შესაბამისად, ამ საკითხზე საბჭო ვერ იმსჯელებს.

ქარტიის მე-11 პრინციპი: "ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება"

განმცხადებელი აპელირებდა, რომ ჟურნალისტმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა განზრახ არასწორად და მოტივი იყო პოლიტიკური. კერძოდ, მისი აზრით, ნიკა გვარამიას მიზანი იყო, "კაწროს" დისკრედიტაციით ზიანი მიეყენებინა ბერა ივანიშვილისათვის და, შესაბამისად, პარტია "ქართული ოცნებისათვის", ვინაიდან დადასტურებულია ავთანდილ ბილანიშვილისა და ბერა ივანიშვილის ახლო ურთიერთობა.
ქარტიის საბჭო აღნიშნავს, რომ შაქარაშვილის საქმე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. გამოძიების პროცესში გაჩნდა ბევრი კითხვა და ზოგადად უნდობლობა პროცესის მიმართ. კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებები ყოველდღიურად ცდილობენ ამ ხარვეზების იდენტიფიცირებას. რა თქმა უნდა, ამ გაშუქებას თან ახლავს ეთიკური გადაცდომები, რომელთა შესახებაც, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილებაში, ასევე სხვა საჯარო განცხადებებში ქარტია საუბრობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მედიამ არ უნდა შეასრულოს "მეთვალყურე ძაღლის" როლი და არ ამხილოს ხელისუფლება. როდესაც არსებობს გამოძიების მიმართ უნდობლობა და ვარაუდი, რომ დამნაშავეებს მფარველობენ, ლოგიკურია, მედია იწყებს სავარაუდო პოლიტიკური კავშირების დადგენას. შესაბამისად, ლოგიკური იყო, ნიკა გვარამიას მსჯელობა შესაძლო პოლიტიკურ გავლენებზე. საბჭომ იმსჯელა ეთიკური პრინციპების დარღვევაზე, თუმცა არ მიიჩნევს, რომ ნიკა გვარამიამ ქარტიის პირველი პრინციპი განზრახ პოლიტიკური მოტივით დაარღვია და იგი საერთოდ არ ცდილობდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. აღსანიშნავია, რომ ნიკა გვარამიამ თავადვე უარყო მის მიერ გავრცელებული რიგი არასწორი ინფორმაცია, რაც ასევე ამცირებს „განზრახვის" დადგენის ალბათობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო მიიჩნევს, რომ მე-11 პრინციპი არ დარღვეულა.

## სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ნიკა გვარამიამ დაარღვია ქარტიის პირველი პრინციპი.
2. ნიკა გვარამიას არ დაურღვევია ქარტიის მე-3 და მე-11 პრინციპი.

# თანასწორობის მოძრაობა ვაკა გოჩგილაძის და ჩუსა შეკვილას წინააღმდეგ

**საბჭოს თავმჯდომარე:** ნანა ბიგანიშვილი

**საბჭოს წევრები:** კამილა მამედოვა, ლიკა ზაკაშვილი, ირმა ზოიძე, ზვიად ქორიძე, მაია მერკვილაძე

**განმცხადებელი:** უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენ

**მოპასუხე:** მაკა ჩიხლაძე

## აღწერითობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა უსფ "ბრიტანია ქონსთრაქშენმა". განმცხადებლის აზრით, ტელეკომპანია "მთავარი არხის" 2020 წლის 27 მარტის გადაცემაში „მთავარი 9 საათზე" გასულ სიუჟეტში, რომელიც ეხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე თბილისში, გულუას ქ. N 8-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებს, დაირღვა ქარტიის 1-ლი, მე-5 და მე-11 პრინციპები. მოპასუხე ჟურნალისტად განისაზღვრა სიუჟეტის ავტორი მაკა ჩიხლაძე, რომელმაც საბჭოს კითხვებს ტელეფონით უპასუხა.

**საქმის განხილვის თავისებურებები** საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო ონლაინ სხდომაზე, რომელიც ორგანიზებული იყო აპლიკაცია Zoom-ის მეშვეობით, თანახმად ქარტიის წესდებისა: „საბჭოს წევრებს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ გამოხატონ/ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ დისტანციური ელექტრონული საკომუნიკაციო საშულების გამოყენებით [სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ონლაინ ვიდეო და აუდიო ზარები]".

## სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის პირველი პრინციპი "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია." სადავო სიუჟეტი შეეხებოდა ქ. თბილისში, გულუას ქ. N 8-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის სარემონტო სამუშაოებს, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროსაც მიმდინარეობდა. სიუჟეტის თანახმად:

1. 1. სარემონტო სამუშაოები ხორციელდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ შენობაში, სადაც განთავსებულია მინისტრის კაბინეტი, შესაბამისად რემონტდებოდა მინისტრის კაბინეტიც. სიუჟეტში ეს საკითხი აქცენტირებულია: „მეხუთე სართულზე, იქ, სადაც მინისტრი გომელაური ზის, 10 მმ სისქის გერმანული ან მისი ანალოგი ლამინირებული პარკეტი უნდა დააგონ".
2. რესპონდენტი ქეთი ენუქიძე [ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფცია"] ამბობს, რომ ის ტენდერში კორუფციის რისკებს ხედავს, კერძოდ, კომპანია [უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენ], რომელიც სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს, ერთი წლის წინ დააფუძნეს და მას არ გააჩნია სათანადო გამოცდილება. ის აღნიშნავს, რომ, სატენდერო პირობების თანახმად, ტენდერში მონაწილე კომპანიას შესრულებული უნდა ჰქონოდა მინიმუმ 5 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაო, თუმცა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა.

## საბჭომ მოიკვლია შემდეგი ინფორმაცია:

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, უნდა გარემონტებულიყო ქ. თბილისში, გულუას N 8-ში მდებარე შენობა. სიუჟეტში ჟურნალისტმა აჩვენა გულუას N 10-ში მდებარე შენობა, სადაც განთავსებულია მინისტრის კაბინეტი. შესაბამისად, ჟურნალისტმა არასწორად მიაწოდა მაყურებელს ინფორმაცია, თუ რომელი შენობა რემონტდებოდა და სარემონტო სამუშაოები მოიცავდა თუ არა მინისტრის კაბინეტს.
2. როგორც ჟურნალისტმა, ასევე რესპონდენტმა ხაზი გაუსვეს უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენის დაფუძნების თარიღს [2019 წელი] და, შესაბამისად, ამ კომპანიის „გამოუცდელობას“ და „არაკვალიფიციურობას“. თავის მხრივ, უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენის ამონაწერში ცალსახად არის მითითებული, რომ უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენი არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, არამედ წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Geo Sky Construction Limited-ის ფილიალს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გამოცდილებად ითვლება არა მხოლოდ ფილიალის, არამედ სათავო დაწესებულების გამოცდილებაც. ჟურნალისტმა აღნიშნული ფაქტი მიჩქმალა და მაყურებელს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოს მართლაც რამდენიმე თვით ადრე დაფუძნებულმა კომპანიამ მიიღო ტენდერში მონაწილეობა.

აღსანიშნავია მოპასუხე ჟურნალისტის, მაკა ჩიხლაძის პოზიცია, რომ კომპანიის გამოცდილებაზე და არაკომპეტენტურობაზე საუბრობდნენ მისი რესპონდენტები და მას, როგორც ჟურნალისტს, რესპონდენტთა პოზიციებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ერთი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია/პოზიცია გადაამოწმოს და ამით სცეს პატივი საზოგადოების უფლებას, მიიღოს სწორი და დაბალანსებული ინფორმაცია.

ქარტიის მე-5 პრინციპი “მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.” დადასტურებული ფაქტია, რომ ჟურნალისტისა და ტელეკომპანიისათვის ცნობილი იყო განმცხადებლის პრეტენზიები არასწორი ფაქტების გავრცელებასთან დაკავშირებით და, როგორც საბჭომ დაადგინა, ეს პრეტენზიები საფუძვლიანი იყო. მიუხედავად აღნიშნულისა, მასალა არ შესწორებულა, რითაც დაირღვა ქარტიის მე-5 პრინციპი.

ქარტიის მე-11 პრინციპი “ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება” როგორც თავად ჟურნალისტმა დაადასტურა, იგი იცნობდა კომპანიის დოკუმენტებს [ამონაწერი სიუჟეტშივე ჩანს] და სატენდერო დოკუმენტაციას, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო, რომ რემონტდებოდა გულუას N 10 ში მდებარე შენობა და არა იმავე ქუჩის N 8-ში არსებული ფართი. მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ კომპანიამ წარადგინა გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტმა მაინც არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, რაც საბჭოს აძლევს იმის საფუძველს, დაადგინოს, რომ ადგილი ჰქონდა ფაქტების განზრახ დამახინჯებას.

## სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მაკა ჩიხლაძემ დაარღვია ქარტიის პირველი, მე-5 და მე-11 პრინციპი.

ᲨᲘᲝ ᲛᲔᲢᲕᲘᲛᲔᲔᲚᲘᲡ Ქ. 6Ბ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, 0179
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 0322 912 870 ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ETHICSCHARTER@GMAIL.COM
WWW.QARTIA.GE